თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიში 2011 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

საქართველოს უმაღლესი განათლების მოქმედი კანონის შესაბამისად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში უმაღლესი განათლების ძირითადი მიზნების მიღწევის მიზნით, ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სისტემების განვითარება, რაც გულისხმობს ავტორიზაციის სისტემის, აკრედიტაციის სისტემისა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხარისხის მართვის (უზრუნველყოფის) მექანიზმების ფუნქციონირებას.

აქედან გამომდინარე, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა 2011 წლის განმავლობაში წარიმართა შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

1. **უმაღლესი საგანამანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის ავტორიზაციის სტანდარტებთან სრული შესაბამისობის მიღწევა**
   - ავტორიზაციის სტანდარტებთან სრული შესაბამისობის მიღწევის მიზნით, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემუშავდა ფაკულტეტის სამოქმედო გეგმის პროექტი. იგი მიზნად ისახავდა ფაკულტეტის ფარგლებში ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნების დაკმაყოფილებას პროგრამების სტრუქტურის, მასში მოცემული ინფორმაციის, კომპონენტების, შედეგების, კვალიფიკაციის, პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური და მატერიალურ–ტექნიკური, საინფორმაციო და საკომუნიკაციო რესურსებით უზრუნველყოფის, რაოდენობრივი პროპორციების დაცვის, სწავლის და შრომის პროცესის უსაფრთხოების სისტემების და მექანიზმების, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამართლებრივი დოკუმენტების მიმართულებით. მომზადდა შესაბამისი ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. განხორციელდა ეკონომიკისა და ბიზნესის მიმართულებით პროგრამების მომზადების, სრულყოფისა და განახლების მიზნით პროგრამებზე მომუშავე ჯგუფების საქმიანობის ორგანიზება;
   - სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების და ავტორიზაციის პროცესის ხელშეწყობის მიზნით, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა აქტიური მონაწილეობა მიიღო თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილებების პროექტების მომზადებაში. მათ შორის:

1. **დადგენილება №5/2011 (12 იანვარი, 2011)**

   სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის არჩევითი სასწავლო კურსის ,,აკადემიური წერის“ სილაბუსის დამტკიცების შესახებ;

2. **დადგენილება №7/2011 (12 იანვარი, 2011)**

   „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2010–2011 სასწავლო წლის სამაგისტრო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს №65/2010 დადგენილებით დამტკიცებულ 2010-2012 სასწავლო წლების ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამასა და ,,სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2010–2011 სასწავლო წლის საბაკალავრო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს №64/2010 დადგენილებით დამტკიცებულ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2008–2014, 2009–2013 და 2010–

2014 სასწავლო წლების ბიზნესის მართვის საბაკალავრო პროგრამებში ცვლილებების შეტანის შესახებ;

3. **დადგენილება №9/2011 (31 იანვარი, 2011)**
   სსიპ – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის მართვის და ეკონომიკის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებში (ყოფილი სსიპ – ,,თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის“ და შპს – ,,საქართველოს ეკონომიკისა და სამართლის სასწავლო უნივერსიტეტის“ ბიზნესის და მართვის მიმართულების და ეკონომიკის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებში) ცვლილებების შეტანის შესახებ;
4. **დადგენილება №10/2011 (31 იანვარი, 2011)**
   სსიპ – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის მართვის 2010-2014, 2009-2013, 2008-2012 სასწავლო წლების საბაკალავრო პროგრამებზე (ყოფილი სსიპ – ,,თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის“ და შპს – ,,საქართველოს ეკონომიკისა და სამართლის სასწავლო უნივერსიტეტის“ ბიზნესის და მართვის მიმართულების საბაკალავრო პროგრამებზე) და 2010-2012 სასწავლო წლების ბიზნესის ადმინისტრირებისა და ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამებზე (ყოფილი სსიპ – ,,თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის“ ბიზნესის ადმინისტრირებისა და ეკონომიკის მიმართულების სამაგისტრო პროგრამებზე) ჩარიცხული სტუდენტებისათვის 2010-2011 სასწავლო წლების გაზაფხულის სემესტრში 35 ECTS კრედიტის სავალდებულოდ აღების შესახებ;
5. **დადგენილება №25/2011 (16 მარტი, 2011)**
   ,,დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის დამტკიცების შესახებ“;
6. **დადგენილება №42/2011 (2 მაისი, 2011)**
   უწყვეტი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების ,,წარმატებული ზრდის სტრატეგიები“ და ,,კომპიუტერული ტექნოლოგიები ბიზნესის დამწყებთათვის“ დამტკიცების შესახებ;
7. **დადგენილება №44/2011 (2 მაისი, 2011)**
   სსიპ – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტიდან ტურიზმის სპეციალობის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების უფლების ტურიზმის საერთაშორისო სკოლისათვის გადაცემის შესახებ;
8. **დადგენილება №47/2011 (25 მაისი, 2011)**
   ,,საბაკალავრო, სამაგისტრო და დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების ინსტრუქცია და დამტკიცების პროცედურა“;
9. **დადგენილება №49/2011 (25 მაისი, 2011)**
   სსიპ – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის მართვის და ეკონომიკის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებში (ყოფილი სსიპ – ,,თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის“ და შპს –

,,საქართველოს ეკონომიკისა და სამართლის სასწავლო უნივერსიტეტის“ ბიზნესის და მართვის მიმართულების და ეკონომიკის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებში) ცვლილებების შეტანის შესახებ“აკადემიური საბჭოს №9/2011 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

10. **დადგენილება №57/2011 (29 ივნისი, 2011)**
    საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ;
11. **დადგენილება №61/2011 (29 ივნისი, 2011)**
    სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომის დანართის შემუშავებისა და შევსების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ;
12. **დადგენილება №67/2011 (11 ივლისი, 2011)**
    სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების საგანმანათლებლო პროგრამის – „მენეჯმენტი“ დამტკიცების შესახებ;
13. **დადგენილება №68/2011 (11 ივლისი, 2011)**
    „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულების ახალი რედაქციის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2009 წლის 4 მაისის №215 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ;
14. **დადგენილება №81/2011 (18 აგვისტო, 2011)**
    სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2011-2012 სასწავლო წლის სამაგისტრო გამოცდებისათვის სამაგისტრო გამოცდის კოეფიციენტებისა და მისაღებ სტუდენტთა რაოდენობის დამტკიცების შესახებ;
15. **დადგენილება №104/2011 (23 სექტემბერი, 2011)**
    „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2011-2012 სასწავლო წლის სამაგისტრო გამოცდებისათვის სამაგისტრო გამოცდის კოეფიციენტებისა და მისაღებ სტუდენტთა რაოდენობის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 18 აგვისტოს №81/2011 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;
16. **დადგენილება №108/2011 (10 ოქტომბერი, 2011)**
    „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულების ახალი რედაქციის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2009 წლის 4 მაისის №215 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

2. **საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო საგანამათლებლო პროგრამების და თვითშეფასების კითხვარების მომზადება და წარდგენა პროგრამული აკრედიტაციისთვის (სულ 10 პროგრამა შესაბამისი თვითშეფასების კითხვარით)**

- სამსახურმა ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს ახალი მოთხოვნების გათვალისწინებით განიხილა, შეაფასა და აკრედიტაციისთვის მოამზადა 2011–

2015 სასწავლო წლების ბიზნესის ადმინისტრირების, ეკონომიკის და ტურიზმის საბაკალავრო პროგრამები;

- სამსახურში განხილულ იქნა და აკრედიტაციისთვის მომზადდა 2011–2013 წლის ბიზნესის ადმინისტრირების, ეკონომიკის, ერთობლივ საწარმოთა მართვის სამაგისტრო პროგრამები და ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა;
- სამსახურში განხილულ იქნა და აკრედიტაციისთვის მომზადდა ბიზნესის ადმინისტრირების, ეკონომიკის და ტურიზმის და მასპინძლობის მენეჯმენტის სადოქტორო პროგრამები.

პროგრამული აკრედიტაციის სტანდარტების მიღწევის მიზნით ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემუშავდა სამოქმედო გეგმა. მომზადდა შესაბამისი მასალები. განსაკუთრებით დიდი მუშაობა იქნა გაწეული ახალი საგანმანათლებლო სტანდარტების მიხედვით პროგრამების მომზადების მიმართულებით. პროცესი მოიცავდა პროგრამების მიზნებისა და შედეგების განსაზღვრას დასავლეთის წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილების, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ექსპერტთა რეკომენდაციების, თუნინგის მიდგომების გაანალიზებისა და ფაკულტეტის რესურსული ბაზის გათვალისწინების საფუძველზე. შემუშავდა სათანადო კურიკულუმები. ახალი მოთხოვნების მიხედვით, პროგრამაში ჩართული სასწავლო კურსების სილაბუსების დამუშავებასთან ერთად განხორციელდა უკუკავშირი პროგრამების ერთიანი კონცეფციების სრულყოფის მიზნით. განხილული, რეცენზირებული და დაზუსტებული იქნა პროგრამებში წარმოდგენილი სილაბუსები.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა მოამზადა და წარადგინა პროგრამული აკრედიტაციისთვის ყველა ზემოთჩამოთვლილი საგანმანათლებლო პროგრამა. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფების სამუშაო ვიზიტის ორგანიზება და შეხვედრები განხორციელდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრთა უშუალო მონაწილეობით.

პირველ ეტაპზე აკრედიტაცია მიეცა ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო, ეკონომიკის სამაგისტრო, ერთობლივ საწარმოთა მართვის სამაგისტრო, ეკონომიკის ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამებს; მეორე ეტაპზე აკრედიტაცია მიიღეს ეკონომიკის საბაკალავრო და ეკონომიკის სადოქტორო პროგრამებმა; მესამე ეტაპზე აკრედიტაცია მიიღო ტურიზმის საბაკალავრო პროგრამამ. აკრედიტაციის რეჟიმშია ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო, ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო და ტურიზმის სადოქტორო პროგრამები.

განხორციელდა ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის გარკვეული სილაბუსების შედეგების სრულყოფა.

პროგრამული აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ მოცემული რეკომენდაციების საპასუხოდ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემუშავდა, საჯაროდ განხილულ იქნა და ფაკულტეტის საბჭოზე დამტკიცდა სადოქტორო სემინარის შეფასების წესი.

3. თსუ–თან შემოერთებული უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების (ყოფილი თეუსუ, სესსუ) საგანამათლებლო პროგრამების ინტეგრირება ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საგანამანათლებლო პროგრამებთან

- ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა პროგრამის ხელმძღვანელებთან და თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით, შეიმუშავდა და განახორციელა ყოფილი თეუსუ–ის და სესსუ–ის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებში ცვლილებები თსუ–ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროგრამებთან ინტეგრირების მიზნით; პროგრამების ინტეგრირებას არსებითი ხასიათის პრობლემები სასწავლო პროცესში არ გამოუწვევია;
- თსუ ცენტრალური ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შუამდგომლობით, მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე მიღებულ იქნა ყოფილი თეუსუ–ის და სესსუ–ის საგანმანათლებლო პროგრამები;
- მომზადდა საკითხები ფაკულტეტის საბჭოსთვის;
- შედგა ქართულ ენაზე თარგმნილი და, ასევე, ქართულენოვანი სახელმძღვანელოების და სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალი, რომლითაც ვსარგებლობთ ფაკულტეტის პროგრამების სასწავლო კურსების განხორციელებისას;
- გადამოწმდა ყოფილი თეუსუ–ის 2008–2012 სასწავლო წლების პროგრამების სტრუქტურები (I–V სემესტრები) ფაკულტეტის ვებ–გვერდზე განსათავსებლად;
- შემოწმდა ყოფილი სსიპ – ,,თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის“ ქუთაისის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლების კვალიფიკაციის შესაბამისობა წასაკითხ საგნებთან და საგნების შესაბამისობა სასწავლო გეგმებთან; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ადგილზე გაეცნო ყოფილი თეუსუ–ის ეკონომიკის პროგრამების განხორციელების მიმდინარეობას.

4. **უწყვეტი განათლების პროგრამების მომზადება**

- შეფასდა, გადამუშავდა და რეკომენდაცია მიეცა ფაკულტეტის და აკადემიური საბჭოების წინაშე სამი უწყვეტი განათლების პროგრამას: ,,წარმატებული ზრდის სტრატეგიები“ (ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი გელა გრიგოლაშვილი), ,,მენეჯმენტი“ (ხელმძღვანელები: ასოცირებული პროფესორები დ. ნარმანია და ე. ჩოხელი), ,,კომპიუტერული ტექნოლოგიები“ (ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ე. ლაგვილავა).

5. **კრედიტების აღიარება:**

- 2011–2012 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე მობილობით გადმოვიდა დაახლოებით 300 სტუდენტი. კრედიტების აღიარების კომისიაში შედიან ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტები, რომელთაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს მობილობით გადმოსულ სტუდენტთა კრედიტების აღიარების დოკუმენტაციის (100–ზე მეტი) მომზადებაში. კრედიტების აღიარების კომისიის დასკვნები გადაეცათ შესაბამის მდივნებს და ბაზის ადმინისტრატორს. გადმოსულ სტუდენტებს ინდივიდუალურად გაეწიათ რჩევები და რეკომენდაციები სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით;
- მომზადდა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კრედიტების აღიარების კომისიაზე განსახილველად იმ დოქტორანტების კრედიტების აღიარებისთვის

დოკუმენტაცია, რომელნიც თსუ–თან შემოერთებული უნივერსიტეტების დოქტორანტები იყვნენ (სულ 12 დოკუმენტი). კომისიის წევრთა გადაწყვეტილების მიხედვით აღნიშნულ დოკუმენტებში შევიდა შესწორებები და მომზადდა საბოლოო დასკვნები;

- ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კრედიტების აღიარების კომისიაზე გასატანად მომზადდა აღდგენის მსურველ და გაცვლითი პროგრამების მონაწილე სტუდენტთა კრედიტების აღიარების დოკუმენტაცია (სულ 27 დოკუმენტი). კომისიის წევრთა გადაწყვეტილების მიხედვით აღნიშნულ დოკუმენტებში შევიდა შესწორებები და მომზადდა საბოლოო დასკვნები;

6. **მონაწილეობა სხვადასხვა კომისიებსა და ღონისძიებებში:**

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ.შ.–მა შეიუშავა თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის პროექტი;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ.შ.–მა 2011 წლის 20 სექტემბერს ქართული ტურიზმის კარიერის კვირეულზე განახორციელა ტურიზმის უმაღლესი და უწყვეტი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების საჯარო პრეზენტაცია;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ.შ. მონაწილეობდა გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტების შესარჩევი კომისიის მუშაობაში. ერაზმუს მუნდუსის გარე თანამშრომლობის ფანჯარა - ფაზა 2-ის ფარგლებში გამოყოფილი სტიპენდიის მოსაპოვებლად შესარჩევი კონკურსის ჩატარებისა და საკონკურსო კომისიის დამტკიცების შესახებ (ბრძანება №:36/01-01, 08.04.2011) და 2011/2012 სასწავლო წლის თსუ ინგლისურენოვანი გაცვლითი პროგრამების ფარგლებში გამოყოფილი სტიპენდიების მოსაპოვებლად შესარჩევი კონკურსის ჩატარებისა და საკონკურსო კომისიის დამტკიცების შესახებ (ბრძანება №:37/01-01, 08.04.2011);
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ.შ. მონაწილეობდა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე სტუდენტური ბიზნეს–ოლიმპიადების საკონკურსო ჟიურის მუშაობაში;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მონაწილეობდა (პროფ. ნინო პაპაჩაშვილი) საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ორგანიზებით ბათუმში ჩატარებულ სემინარში, რომელიც მიეძღვნა ზოგადად პროგრამული აკრედიტაციის საკითხებს და ახალი საგანმანათლებლო სტანდარტების შესაბამისად თვითშეფასების კითხვარის მოთხოვნების სწორად გააზრებას (შევსებას);
- ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ორგანიზება გაუწია ფაკულტეტის მხრიდან ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს პროექტის შემუშავების პროცესში პროფესორების მხრიდან კვალიფიკაციების ჩამონათვალში ცვლილებების თვალსაზრისების მიწოდებას;
- განხორციელდა ეკონომიკის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის მოქმედ რეგულაციებთან შესაბამისობაში მოყვანა;
- კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით 2011 წლის 21–22 თებერვალს და 2011 წლის 20 ოქტომბერს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრები მონაწილეობდნენ ტალინის უნივერსიტეტის და ესტონეთის ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნული სააგენტოს მიერ ორგანიზებულ სემინარებში: ,,კურიკულუმის განვითარება“ და ,,ელექტრონული კურსების ფორმირება“;

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი მონაწილეობდა თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულების ცვლილებებზე მომუშავე შესაბამისი კომისიის მუშაობაში. **(„დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის ახალი რედაქციის დამტკიცების შესახებ“ სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2009 წლის 16 ივლისის N249 დადგენილების მიხედვით).**

7. **პასუხი შემოსულ კორესპონდენციებზე**

- სამსახურმა აღნიშნულ პერიოდში პასუხი გასცა თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურიდან შემოსულ 43 წერილს, ასევე სტუდენტთა განცხადებებს;
- თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დავალების საფუძველზე მომზადდა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის პროექტი;

8. **სხვა**

- განხორციელდა ეკონომიკის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის შესაბამისობის დადგენა მათ მიერ შემოთავაზებულ სასწავლო კურსებთან;
- ორგანიზება გაეწია ფაკულტეტის მოწვეული აკადემიური და ძირითადი შტატის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის CV–ების შეგროვებას;
- სტუდენტების განცხადების საფუძველზე, მომზადდა მათ მიერ გავლილი საგნების სილაბუსები და ანოტაციები (23 განცხადება);
- გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტებს გაეწიათ რეკომენდაციები კრედიტების აღიარებისთვის საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენასთან დაკავშირებით;
- თსუ რექტორის #62/01–01 (29.06.2011) ბრძანების შესაბამისად მომზადდა თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურის ჩამონათვალი შესაბამისი ფორმატის მიხედვით;
- ფაკულტეტზე მომზადებული საგანმანათლებლო პროგრამების კონცეფციები განთავსდა ფაკულტეტის ვებ–გვერდზე.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ.შ.

ასოცირებული პროფესორი /ე. ლეკაშვილი/